სსიპ საქართველოს
კინემატოგრაფიის ეროვნული
ცენტრის დირექტორი

11 აპრილი 2024

N 72

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მიერ გამოცხადებული კონკურსის „კანის 77-ე საერთაშორისო კინოფესტივალის კინობაზრობაზე ფილმის ჩვენების ხელშეწყობა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმებისთვის“ ფარგლებში ფილმის შერჩევის თაობაზე

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 07 აგვისტოს №3/256 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ს6” ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის ,,თ” ქვეპუნქტისა, ,,საერთაშორისო და სხვა ქვეყნების ეროვნულ კინოფესტივალებზე, კონკურსებში და ჯილდოებზე საქართველოს სახელით წარსადგენი ფილმის/ფილმების შესარჩევი კომისიის მუშაობის წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 15 სექტემბრის №195 ბრძანებით დამტკიცებული წესის, „კონკურსის „კანის 77-ე საერთაშორისო კინოფესტივალის კინობაზრობაზე ფილმის ჩვენების ხელშეწყობა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმებისთვის“ გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების დამტკიცების შესახებ“ სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 28 მარტის №45 ბრძანებისა და „სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მიერ გამოცხადებული კონკურსის „კანის 77-ე საერთაშორისო კინოფესტივალის კინობაზრობაზე ფილმის ჩვენების ხელშეწყობა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმებისთვის“ ფარგლებში საქართველოს სახელით წარსადგენი ფილმის/ფილმების შერჩევის მიზნით კომისიის შექმნის შესახებ“ სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 11 აპრილის №71 ბრძანებით შექმნილი კომისიის 2024 წლის 11 აპრილის №1 ოქმის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 28 მარტის №45 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის „კანის 77-ე საერთაშორისო კინოფესტივალის კინობაზრობაზე ფილმის ჩვენების ხელშეწყობა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმებისთვის“ ფარგლებში შეირჩეს სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მოქალაქე წმინდანი“ (პროდიუსერი შპს არტიზმი - ლაშა ხალვაში, რეჟისორი თინათინ ყაჯრიშვილი).

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

კობა ხუბუნაია

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი